



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-625/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ.
„ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი“ დამკვირვებლის
რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 15 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა. (ა). ი. პ. „ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი“ ხელმძღვანელის მიხეილ ჭილაძის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 15 ნოემბრის განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №5638) შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. გაუქმდეს რეგისტრაცია „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ. „ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი“ დამკვირვებლების რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2018 წლის 26 აგვისტოს №02-083/2018 განკარგულებით რეგისტრირებულ დამკვირვებელს - **№8 გურამ რუხაძეს**.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი